



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თახმა

თახმა, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კარტიკამის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე. გ. დ. 1960 მ, ახალქალაქიდან 13 კმ. 106 მცხ. (2002). თ. მდებარეობს ისტ. გემო ჯავახეთში. ფეოდ. ხანაში აქ სოფელი არ უნდა ყოფილიყო, რაზედაც მიუთითებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (XVI ს.), რ-შიც ამ ადგილას არც სოფელი და არც ნასოფლარი აღნიშნული არ არის. 1829 ადრიანოპოლის ზავის შედეგად, ჯავახეთი რუს. იმპერიაში შევიდა. თ-ის ახლანდ. სომეხი მოსახლეობა იმ დროსაა შემოყვანილი არზრუმის მხრიდან. ჩანს, ისინი ცარიელ პლატოზე დასახლებულან. მათი ეკლესია აგებულია 1902. სოფლის სახელწოდება არზრუმის მხარეში არსებული ძვ. დასახლების სახელს იმეორებს. სოფელში ფეოდ. ხანის სიძველეები გვხვდება. ადგილ. მოსახლეობა მიწის თხრის დროს პოულობდა ქვაყუთებს, რ-ებშიც თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილია ბრინჯაოს სამაჭურებიც. საფიქრებელია, აქვე სიახლოვეს იქნებოდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დასახლებაც.

დ. ბერძენიშვილი